მუამავალთა რწმენა

საბავშვო მოთხრობები რწმენა-4

# ჩვენები

## ბათულის სტუმრები



inkılâb çocuk

muslim GEORGIA international charity foundation

# წვენები
# ბეთულის სტუმრები

ბეთულს სახე და ხელები ფქვილით ჰქონდა მოსვრილი. ის მისაღები ოთახის კარებთან დადგა და დედას დაუძახა.

- დედა, მომეხმარები?

ბეთული დღეს, თავის მეგობარ ფატმასთვის ტორტს აკეთებდა. ბეთულმა დედისგან ისწავლა, რომ სტუმარს კარგად უნდა დახვედროდა და გემრიელად გამასპინძლებოდა. ბეთული, საშინაო საქმეში ისედაც მოხერხებული და დაინტერესებული იყო. სულ პატარაობიდან დედას ეხმარებოდა. არ სურდა რომ დედიკო დაღლილიყო. დედაც თავის გულისხმიერ გოგონას ყოველთვის აქებდა.

- დედა, კვერცხი და შაქარი ავთქვიფე, ახლა კი რძის და ცხიმის შერევა მინდა. დამეხმარები?

- ყოჩაღ, ჩემო ლამაზო გოგონა. მოუწონა დედამ.



ბეთულმა დედის დახმარებით დამატებითი ინგრედიენტებიც დაამატა.

- შენ ესენი აურიე, მე ღუმელს ჩავრთავ.

ბეთულმა ნამცხვარი გახურებულ ღუმელში მოათავსა და ლოდინი დაიწყო. მალე ნამცხვრის გემრიელი სურნელი დატრიალდა. სწორედ ამ დროს მოვიდა ფატმაც. ნამცხვარი გამოიღეს და თეფშებზე გაანაწილეს. ბეთული და ფატმა ბაღში გავიდნენ და კაკლის ძირას ჩამოსხდნენ.



ბაღში საამო ნიავი ქროდა. ნამცხვრის ირგვლივ რამოდენიმე ჭრელი პეპელა დაფარფატებდა. მეგობრები ძალიან კარგ ხასიათზე იყვნენ.

ბეთულმა პირველად გამოაცხო ნამცხვარი. ნეტა მის მეგობარს მოეწონებოდა?

- მოდი გავსინჯოთ ფატმა. ნეტა როგორია?

- ძალიან გემრიელია ბეთულ. დიდი მადლობა. როგორ გააკეთე. მეც მასწავლე რა.



ბეთულს ძალიან გაუხარდა, რადგან მის მეგობარს ნამცხვარი მოეწონა. სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა და გაიღიმა.

- კარგი, გასწავლი. ერთ დღეს ერთად გავაკეთოთ. ძნელი არაა.

ნამცხვრის ჭამის შემდეგ ფატმა საქანელაზე დაჯდა. ეს საქანელა ბეთულის მამამ გააკეთა. ის, პარკის საქანელებს საერთოდ არ ჰგავდა. აქ  უფრო კარგი იყო. ფატმა ყოველ გაქანებაზე უფრო და უფრო მაღლა ადიოდა. ის უფრო და უფრო უახლოვდებოდა ხეების ფოთლებსა და მოჭიკჭიკე ჩიტებს.



ბეთულიც წამოდგა, რათა ფატმასთან მისულიყო. ძირს დახედა. კორდზე ერთ რიგად მოწყობილი ჭიანჭველების ჯარი მიდიოდა.

- ფატმა, მოდი აქ. ნახე, ჭიანჭველები!

ფატმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და საქანელადან გადმოხტა.

- ეს რამხელა ჭიანჭველები არიან! ფატმას გაუკვირდა.

- შეგეშინდა? გაიცინა ბეთულმა.

ბეთულმა ის თეფში აიღო, რომელზეც ცოტა ხნის წინ ნამცხვარი იდო.

- მოდი, ნამცხვრის ნამცეცები ჭიანჭველებს მივცეთ. თქვა მან.



- მივცეთ. ძალიან კარგი იქნება. საჭმლის მოძებნა აღარ დაჭირდებათ. აქედან აიღებენ და თავიანთ ბუდეში წაიღებენ.

ჭიანჭველებმა ნამცეცებს არც კი შეხედეს. ისევ ისეთი ზუსტი მიმართულეით გააგრძელეს გზა. ბუდეში ერთი მხრიდან შედიოდნენ და მერე მხრიდან გამოდიოდნენ. გამოსულები შეიძლება იგივე ჭიანჭველები არც კი იყვნენ. თუმცა ამას გოგონები როგორ გაიგებდნენ. ყველა ჭიანჭველა ერთნაირი იყო.

- ნეტა რატონ არ ჭამეს? იკითხა ბეთულმა.



- არ ვიცი. იქნებ არ მოეწონათ.

- შეიძლება რიგის გაწყვეტა აკრძალულია, რა ვიცით. თავისი აზრი გამოთქვა ფატმამ.

- ნეტა მათთან საუბარი შეგვძლებოდა, ვკითხავდით.

- მართლაც რა კარგი იქნებოდა. თან იმასაც ვკითხავდით ბუდე როგორ აქვთ მოწყობილი. მე ეს ძალიან მაინტერესებს.

ამ აზრმა გოგონებს წარმოდგენას ახალი გასაქანი მისცა. წარმოიდგინეს, რომ ჭიანჭველებივით პატარები იყვნენ. მერე ჭიანჭველების ბუდეში შევიდნენ და მათთან ისაუბრეს.

- იცი ფატმა, წმ. სულეიმან შუამავალი ჭიანჭველებს ელაპარაკებოდა თურმე.



ფატმას ძალიან გაუკვირდა.

- მხოლოდ ჭიანჭველებთან? სხვა ცხოველებთან არა?

- სხვა ცხოველებსაც ელაპარაკებოდა თურმე.

- ძალიან საინტერესოა. ისიც ღმერთის შუამავალი იყო ხომ?

- დიახ, შუამავალი იყო და ღმერთმა ამიტომ მიანიჭა მას ეს უნარი.

- შუამავალი სულეიმანი რომელ დროში ცხოვრობდა?

- ჩვენი შუამავლის მობრძანებამდე დიდი ხნით ადრე უნდა იყოს ეგ დრო. პირველი ადამიანი და შუამავალი იყო ადამი. ადამიდან შუამავალ მუჰამმედამდე მრავალი შუამავალი მოვლენილა.

- ჩვენი შუამავალი უკანასკნელია. ეს ვიცი, თქვა ბეთულმა.

ამ დროს მათთან ბეთულის უფროსი და, ზელიჰა მივიდა.



- რას აკეთებთ გოგონებო, ჭიანჭველებს ითვლით?

- ჩვენ მათ ნამცხვარი მივეცით, მაგრამ არ ჭამეს დაიკო. ნეტა მათთან საუბარი შეგვეძლოს! ვკითხავდით.

- სულეიმან შუამავალს მათთან საუბარი შესძლებია, ხომ? იკითხა ფატმამ.

- დიახ, მართალია გოგონებო. ღმერთმა სულეიმანს შუამავლის მოვალეობა დააკისრა. თანაც ფრინველებისა და სხვა ცოცხალი არსებების ენაც ასწავლა. გარდა ამისა ღმერთს სულეიმანისთვის დიდი სიმდიდრე და ცოდნა უწყალობებია.  სიმდიდრისა და ცოდნის მიუხედავად სულეიმანს არასოდეს დავიწყებია ღმერთი.



- დაიკო, ღმერთმა ამდენი შუამავალი რატომ გამოგზავნა? იკითხა ბეთულმა.

ბეთულის ლურჯი თვალები ცნობისმოყვარეობით აკიაფდა.

- მოდით, აქ დავსხდეთ ბავშვებო. სამივენი იქვე დაგებულ ხალიჩაზე ჩამოსხდნენ.

- უპირველესად გოგონებო, რა უნდა ვიცოდეთ: ჩვენი გაჩენის მიზანი ღმერთის რწმენა და შეცნობაა. ასევე, ადამიანი ღმერთის ღირსეული მონა უნდა იყოს. სწორედ ამიტომ გვიგზავნის ღმერთი შუამავლებს, რომ ადამიანებმა ეს გზა არ დავკარგოთ. ისინი მთლიანად ღმერთზე მინდობილი ადამიანები არიან. ღმერთს ადამიანი არცერთ ეპოქაში არ დაუტოვებია შუამავლის გარეშე. ყოველთვის შუამავლებს მოავლენდა ხოლმე. შუამავლები ადამიანებს ღმერთის ბრძანებებსა და ამ ბრძანებების სიბრძნეს აცნობდნენ.



- ღმერთი ერთია. ამიტომ ყველა შუამავალი ერთ და იმავე ჭეშმარიტებას ქადაგებდა. ჩვენ, როგორც მუსლიმები ყველა შუამავალს ვაღიარებთ. ეს, რწმენის ერთ-ერთი პირობაა.

ღმერთმა ბევრი შუამავალი გამოგზავნა, რადგან ღმერთის მიერ გამოგზავნილი შუამავლები იმ ხალხს მოძღვრავდნენ, რომელთა შორისაც ცხოვრობდნენ. ისინი ერთადერთი ღმერთისადმი რწმენასა და თაყვანისცემას ქადაგებდნენ. თუმცა შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ხალხი რწმენას ხშირა შემთხვევაში ივიწყებდა. სწორედ ამიტომ გზავნიდა ღმერთი ახალ შუამავალს. ეს პროცესი ჩვენი შუამავლის მოვლინებამდე ასე გაგრძელდა.



- გარდა ამისა, შუამავლები იმ ხალხისათვის, სადაც ისინი ცხოვრობდნენ საუკეთესო მაგალითები იყვნენ. შუამავლები ყოველთვის რჩეული ადამიანები იყვნენ.

ჩვენი შუამავალი წმ. მუჰამმედია. მის მიერ მოტანილი სარწმუნოება არ შეცვლილა. ის ისევ ინარჩუნებს თავის ორიგინალურობას.

- შუამავლებიც ისეთი ადამიანები იყვნენ, როგორც ჩვენ? იკითხა ფატმამ.



- რა თქმა უნდა ფატმა. ისინიც ჩვენსავით ადამიანები იყვნენ. იკვებებოდნენ, სწყინდათ, უხაროდათ და ა.შ. მათაც ჰყავდათ ოჯახები და შვილები. თუმცა ისინი ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად უაღრესად ბევრს ლოცულობდნენ და სწორად ცხოვრობდნენ. შუამავლები რჩეული ადამიანები იყვნენ.

შუამავლები ტყუილს ხუმრობითაც არასოდეს ამბობდნენ. ისინი ყველაზე სანდო ადამიანები იყვნენ. ისინი არც ცოდვას სჩადიოდნენ. ამასთანავე მათ დიდი ჭკუა და ნათელი გონება ჰქონდათ. ღმერთის მიერ ნაბრძანებ კანონებს უნაკლოდ გადასცემდნენ ადამიანებს.



ხეების ტოტებს შორის მზის სხივები იჭყიტებოდა.

ამ ორი პატარა გოგონას ასეთი დაინტერესება ზალიჰას ძალიან მოეწონა. ამიტომ სიამოვნებით განაგრძო თხრობა.

- ყველაზე ბოლო და თან საუკეთესო სარწმუნოება ისლამია. წმ. შუამავალი მუჰამმედი, მადლმოსილების თვალსაზრისით, დანარჩენ შუამავლებზე მაღლა დგას.

შუამავალს უმეცრებაში არასოდეს უცხოვრია. არც ტყუილი უთქვამს არასოდეს. მისი დაუძინებელი მტრებიც კი აღიარებდნენ, რომ ის ყველაზე სანდო ადამიანი იყო.



- ის უკანასკნელი შუამავალი და სამყაროს წყალობა იყო. ჩვენ კი მადლიერება უნდა გამოვხატოთ, რადგან მისი მიმდევრები ვართ.

ბეთულმა ჭიანჭველებს დახედა. ისევ იგივე სწორხაზოვნად მიდიოდნენ. ნამცხვრის ნამცეცები ისევ ისე ეყარა. ჭიანჭველები არ მიკარებოდნენ. თუმცა არაუშავს. ამ მიზეზით ბევრი ახალი რამ ვისწავლეთ.



- ჭიანჭველებმა არ ჭამეს, მაგრამ მე შენი ნამცხვრის ერთი ნაჭერი კიდევ მინდა. უთხრა ბეთულს მისმა დაიკომ.

- ახლავე მოგიტან დაიკო, დაიძახა ბეთულმა და სირბილით სახლისკენ გაიქცა.

